ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EU4Environment

Green Economy in Eastern Partner Countries

გაიგე მეტი საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების შესახებ

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფციის ეროვნულ პოლიტიკასა და პრაქტიკაში იმპლემენტაციისათვის არაერთი აქტივობა განხორციელდა.

წინამდებარე პუბლიკაცია კი მიზნად ისახავს მდგრადი საჯარო შესყიდვების არსისა და მისი სარგებლის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას.

შენიშვნა

წინამდებარე ბროშურა მომზადდა ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და იმპლემენტირებულია OECD-ის, UNECE-ის, UNEP-ის, UNIDO-სა და მსოფლიო ბანკის მიერ. ბროშურა მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა (UNEP-ის იმპლემენტაციის პარტნიორი საქართველოში) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერით, UNEP-ის დახმარებით.

ბროშურა მომზადდა ნატო ბერიძის — EU4Environment პროექტის ჯგუფის ეროვნული სამართლის ექსპერტის მიერ. ბროშურის ილუსტრაციაზე იმუშავა გიორგი ქინქლაძემ — გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გრაფიკულმა დიზაინერმა.

ბროშურაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს და არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ევროკავშირის ან მისი წევრების ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ან იმპლემენტაციის პარტნიორების ოფიციალურ მოსაზრებებად.

მოიაზრება, რომ წარმოდგენილი ბროშურა და ბროშურაში მოცემული ნებისმიერი რუკა, არ აზიანებს რომელიმე ტერიტორიის სტატუსს ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრებსა და საზღვრების დელიმიტაციას და ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის სახელწოდებას.

ბროშურა შემუშავებულ იქნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

დასაშვებია ამ დოკუმენტის ტექსტის გამოყენება წყაროს მითითების პირობით. აღნიშნული დოკუმენტის გაყიდვა აკრძალულია.

© 2023, UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ პირობებით.

სურათების წყარო: **shutterstock.com**, **stock.adobe.com**

მდგრადი საჯარო შესყიდვები მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს

საქართველოსა და ევროკავშირს შორის **ასოცირების შესახებ შეთანხმების** ხელმოწერით საქართველომ აიღო **მდგრადი განვითარების** ხელშეწყობის ვალდებულება და ხაზი გაუსვა ვაჭრობასთან დაკავშირებული შრომითი და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობას. ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები მოიცავს, მათ შორის, საერთაშორისო ვაჭრობის საჯარო შესყიდვების სფეროს დაახლოებას ევროდირექტივების მოთხოვნებთან და მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომის დანერგვას.

სარჩევი

რა არის მდგრადი საჯარო შესყიდვა?	3
მდგრადი საჯარო შესყიდვების მნიშვნელობა	5
მდგრადი საჯარო შესყიდვები, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი	6
მდგრადი საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო	7
მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკული განხორციელება	8
სპეციფიკაციების გაწერა	9
ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები	11
მდგრადი საჯარო შესყიდვების მოთხოვნები პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში	12
საჯარო შესყიდვის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები	13

რა არის მდგრადი საჯარო შესყიდვა?

მდგრადი საჯარო შესყიდვა განმარტებულია როგორც პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზაციები საკუთარ მოთხოვნილებებს საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოსა და კომუნალურ მომსახურებაზე იკმაყოფილებენ ისე, რომ მიღწეულ იქნეს ხარჯთეფექტურობა მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, იმგვარად, რომ სარგებელი მიიღოს არამხოლოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, არამედ საზოგადოებამ და ეკონომიკამ, გარემოსთვის მინიმალური ზიანის მიყენების გზით.[1]

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი არის ყველა თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული ეტაპი და სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს:

- განსახორციელებელ კვლევას
- წარმოებას
- ვაჭრობასა და მის პირობებს
- ტრანსპორტირებას
- გამოყენებასა და შენარჩუნებას
- პროდუქციის არსებობის პერიოდს
- სამუშაოს შესრულებასა და მომსახურების გაწევას, ნედლეულის შეძენიდან ან ხელთ არსებული რესურსის წარმოშობიდან, ნებართვის მიღებით, მომსახურებისა და გამოყენების ჩათვლით.

მაგალითად, საკვები პროდუქტის შემთხვევაში **სასიცოცხლო ციკლის** შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს პროდუქტის დათესვა, მოყვანა, წარმოება, დისტრიბუცია, მიწოდება და მომხმარებლამდე მიტანა.

მდგრადი საჯარო შესყიდვა მიზნად ისახავს ბალანსის მიღწევას მდგრადი განვითარების სამ საყრდენს – ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს შორის.

- **მდგრადი საჯარო შესყიდვების ეკონომიკური ფაქტორი** უკავშირდება შესყიდვის ობიექტის **მთლიანი სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის** გამოთვლის მეთოდოლოგიის გამოყენებას და მოიაზრებს შესყიდვის ეფექტიანობასა და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების მიღებას.

სასიცოცხლო ციკლის დანახარჯი არის საქონლის მიწოდებასთან, მომსახურების გაწევასთან ან სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში არსებული ხარჯი, მათ შორის, ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია:

1 წყარო: Procuring the Future – the report of the UK Sustainable Procurement Task Force, ივნისი, 2006. დეფინიცია შემუშავებულია Marrakech Task Force-ისა და One Planet Network-ის Sustainable public procurement პროგრამის მიერ.

- სარგებლობასთან
- ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარებასთან
- მოვლასთან
- გადამუშავებასთან

სასიცოცხლო ციკლის დანახარჯს წარმოადგენს გარემოზე მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი ხარჯებიც, თუკი შესაძლებელია მიყენებული ზიანის ფულადი ვალდებულების სახით განსაზღვრა.

- **მდგრადი საჯარო შესყიდვების სოციალური ფაქტორი** მოიცავს სოციალური თანასწორობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დაცულობას, ადამიანის უფლებებისა და შრომის სამართლის პრინციპების დაცვას.
- **მდგრადი საჯარო შესყიდვების გარემოსდაცვითი ფაქტორი** მოიცავს ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ემისიებს, კლიმატის ცვლილებას, ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებას, პროდუქტის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

მდგრადი საჯარო შესყიდვების მნიშვნელობა

საჯარო შესყიდვები ქმნის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მშპ-ს დაახლოებით 25-30%-ს. საქართველოში, 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულება 5,754,188,526 ლარს გაუტოლდა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს შეადგენს.[1] მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ყოველი შესყიდვა იძლევა მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და მისი წახალისების პოტენციურ შესაძლებლობას. მდგრადი საჯარო შესყიდვები ეფექტური ინსტრუმენტია **მწვანე ეკონომიკის მოდელზე** გადასასვლელად, რამდენადაც მდგრადი საჯარო შესყიდვა **სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებას მოიაზრებს.**

ეკონომიკური თვალსაზრისით, მდგრად საჯარო შესყიდვებს გააჩნია **ხარჯების შემცირებისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესების პოტენციალი,** რამდენადაც მისი განხორციელებისას გათვალისწინებულია სასიცოცხლო ციკლის დანახარჯის მიდგომა, რაც უფრო მაღალი ხარისხის მქონე პროდუქტის შესყიდვის საშუალებას უზრუნველყოფს და უფრო ხანგრძლივად ფუნქციონირებს.

მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომების დანერგვის შემდგომ **გაიზრდება შემსყიდველი ორგანიზაციების მოთხოვნა მდგრად, გარემოსადმი მეგობრულ და ენერგოეფექტურ პროდუქტებზე.** შესაბამისად, მდგრადი საჯარო შესყიდვა გახდება ინოვაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ბაზარზე მდგრადი საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების გავრცელების რეალური ინდიკატორი.

1 წყარო:სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=753badc3-0ada-4fe4-9639-481664f946ec

მდგრადი საჯარო შესყიდვები, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი

მდგრადი საჯარო შესყიდვები **მდგრადი განვითარების მიზნების** მიღწევის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, **მდგრადი განვითარების მე-12 მიზანი — მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფა.** მდგრადი განვითარების აღნიშნული მიზანი წარმოადგენს ენერგოეფექტურობის, მდგრადი ინფრასტრუქტურის, რესურსეფექტურობის, ღირსეულ სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების 12.7 ამოცანა ითვალისწინებს **მდგრადობაზე ორიენტირებული საჯარო შესყიდვების ხელშეწყობას, ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად.**

მდგრადი საჯარო შესყიდვების კონცეფცია, საჯარო შესყიდვის განხორციელებისას **მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტების** გათვალისწინებასაც გულისხმობს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ნაკლებად წარმოდგენილი სქესისა, აგრეთვე, სხვა **სოციალური და შრომითი უფლებების უზრუნველყოფა** საჯარო შესყიდვის განხორციელებისას. ამდენად, მდგრადი საჯარო შესყიდვები პირდაპირ კავშირშია **მდგრადი განვითარების მე-5 მიზანსა (გენდერული თანასწორობა) და მე-8 მიზანთან (ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა).**

ამრიგად, ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად, **მდგრადობაზე ორიენტირებული საჯარო შესყიდვების — მდგრადი საჯარო შესყიდვების** განხორციელება ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციას.

მდგრადი საჯარო შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო

მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დებულებები თავმოყრილია **საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონში,**[1] აგრეთვე, მის შესაბამისად მომზადებულ **საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტში**. აღსანიშნავია, რომ მდგრადი საჯარო შესყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება — **ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების მიდგომა** უკვე განმტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.[2]

აღსანიშნავია, რომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულია, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევის ვალდებულება. ამასთან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება იმ შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდები, რომლის საჯარო შესყიდვისას სავალდებულო იქნება მდგრადი განვითარების მახასიათებლების გათვალისწინება.

1 საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, 2022 წლის 8 ივნისს, საქართველოს მთავრობამ, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა საქართველოს პარლამენტს. 2023 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 90 ხმით მიიღო „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2 „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს N411 დადგენილება.

მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკული განხორციელება

მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკა, აგრეთვე, განსაზღვრულ იქნეს მისი პრიორიტეტები და მიზნები. მდგრადი საჯარო შესყიდვების თანმიმდევრული განხორციელება მოიცავს საჯარო შესყიდვის ყველა ეტაპს, **შესყიდვის დაგეგმვიდან, ბაზრის კვლევის, წინასწარი საინფორმაციო შეტყობინების გამოქვეყნების, შესყიდვის პირობების შედგენის, საჯარო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისა თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ჩათვლით.**

მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზანშეწონილია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ გაითვალისწინოს შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, შეაფასოს, **ხომ არ არსებობს განსახორციელებელი შესყიდვის ალტერნატივა,** რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ დასახული მიზნის მიღწევას. მაგალითად, შეხვედრის დასწრებით რეჟიმში გამართვის ნაცვლად მიიღოს მისი ონლაინ ფორმატში ჩატარების გადაწყვეტილება, რაც თავისი მხრივ, დაზოგავს როგორც მის დროს, ასევე, ხარჯებს და ტრანსპორტირების კუთხით გარემოზე ნაკლებ ზემოქმედებას მოახდენს.

საჯარო შესყიდვების განხორციელება შესაძლებელია საჯარო შესყიდვის თითოეულ ეტაპზე, მათ შორის:

- საჯარო შესყიდვის დაგეგმვის ეტაპზე
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრისას
- ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმების დადგენის დროს
- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმების განსაზღვრისას
- საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტის შემუშავების ეტაპზე
- საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის ეტაპზე

სპეციფიკაციების გაწერა

პროდუქტის ნედლეულის შემადგენლობა, აგრეთვე პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების პროცესი შეიძლება გახდეს აღნიშნული პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების დადგენის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

მდგრადი საჯარო შესყიდვის განხორციელების მიზნით, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას განზრახული აქვს, შესყიდვის ობიექტის აღწერისას **გაითვალისწინოს გარემოს დაცვის, სოციალური ან სხვა მსგავსი მახასიათებლები,** იგი უფლებამოსილია, საჯარო შესყიდვის სპეციფიკაციებში მიუთითოს **ეტიკეტის ვალდებულებაზე.** ამასთან, თუ ტექნიკური სპეციფიკაციებით არ არის მოთხოვნილი, რომ შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს **ეტიკეტთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას**, მაშინ უნდა მიეთითოს, კონკრეტულად რომელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაა სავალდებულო.

მნიშვნელოვანია, რომ **ტექნიკური სპეციფიკაციები** უკავშირდებოდეს შესასყიდი პროდუქტის კონკრეტულ მახასიათებლებს. ამასთან, თუ შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები ჩამოყალიბებულია ტექნიკური სპეციფიკაციების სახით, მათი აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები და სხვა მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტს შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით: **საერთაშორისო სტანდარტი**, მისი არ არსებობის შემთხვევაში – **რეგიონული სტანდარტი**, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში – **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში მოქმედი სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი,** ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში – **საქართველოს სტანდარტი.**

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ყოველი მითითება სტანდარტზე უნდა შეიცავდეს **დათქმას „ან ეკვივალენტური“,** რაც თავის მხრივ, გულისხმობს, რომ თუ დადასტურდა შეთავაზებული პროდუქტის შესაბამისობა „ეკვივალენტურ“ სტანდარტთან, ასეთი შეთავაზება შესყიდვის პირობების შესაბამისად ჩაითვლება.

გარემოსდაცვითი ან/და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საერთაშორისო, რეგიონული (ევროპული) ან ეროვნულ დონეზე დადგენილი ეტიკეტების, როგორც დადასტურების საშუალების გამოყენება, მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

ამრიგად, **ეტიკეტები** შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმის შესამოწმებლად, **შეესაბამება თუ არა წარდგენილი წინადადება შესყიდვის პირობებით დადგენილ მდგრადობის მოთხოვნებს.**

გასათვალისწინებელია, რომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონი ადგენს იმ კონკრეტულ საფუძვლებს, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია სპეციფიკაციებში მიუთითოს **კონკრეტული ეტიკეტის (მაგალითად: „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ ან/და სხვა)** ვალდებულებაზე. **ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, ეტიკეტი ერთდროულად აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს:**

- ეტიკეტი ეხება მხოლოდ იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდვის ობიექტთან და გამოიყენება, როგორც დამკვიდრებული მეთოდი ასეთი შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების განსაზღვრისთვის
- ეტიკეტის მოთხოვნები ეფუძნება ობიექტურად გადამოწმებად და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს
- ეტიკეტი დამტკიცდა პროცესით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, ადმინისტრაციულ ორგანოებს, მომხმარებლებს, მეწარმეებს, მწარმოებლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს
- ეტიკეტის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს
- მოთხოვნებს ეტიკეტის მისაღებად აწესებს მესამე პირი, რომელზეც ეტიკეტის მიღების მსურველ ეკონომიკურ ოპერატორს არ შეუძლია გავლენის მოხდენა.

ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები

ეკონომიკური ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმებში მდგრადობის მოთხოვნების შემოღება შესაძლებელია, **ეკონომიკური ოპერატორის ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობების** თაობაზე დებულებების შესყიდვის პირობებში გაწერით. ამ მიმართულებით შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესაძლოა განსაზღვროს წ**ინარე სამუშაო გამოცდილების, ადამიანური და ტექნიკური რესურსების შესახებ მოთხოვნები,** რაც დაადასტურებს, რომ ეკონომიკურ ოპერატორს გააჩნია საჭირო შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს ამგვარი მოთხოვნები.

გარემოსდაცვითი ტექნიკური შესაძლებლობა შესაძლებელია, მოიცავდეს ტექნიკურ კომპეტენციას, მაგალითად, ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციის, დამბინძურებლების გაფრქვევისა, ასევე საწვავის მოხმარების შემცირების კონტექსტში. ამ კუთხით ერთ-ერთი სასარგებლო ინსტრუმენტია უკვე შესრულებული ხელშეკრულებების თაობაზე არსებული ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს, შესყიდვის პირობებში ეკონომიკური ოპერატორისათვის გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის მითითებით.

მდგრადი საჯარო შესყიდვების მოთხოვნები პროდუქტის მიწოდების ჯაჭვში

გარემოზე ზემოქმედება შესაძლოა წარმოიშვას არამხოლოდ კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას, არამედ **მიწოდების მთლიანი ჯაჭვის ფარგლებშიც.**

მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების აღჭურვილობას, როგორც წესი, აქვს კომპონენტები, რომლებიც იწარმოება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილიდან, მათ შორის, ლითონებისგან და სხვა ნივთიერებებისგან, რომლებიც, თავისი მხრივ, მათი მოპოვებისა თუ დამუშავების პროცესში, გარემოსთვის საკმაოდ დიდ რისკს წარმოადგენს.

ამდენად, როდესაც წარმოების, მიწოდებისა და ვაჭრობის პროცესებში სოციალური ან/და გარემოსდაცვითი რისკები აღინიშნება, ამგვარი შესყიდვის ობიექტების საჯარო შესყიდვისას მდგრადი საჯარო შესყიდვების ეფექტური განხორციელებისთვის საჭიროა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ გადახედოს **შერჩევა-შეფასების ეტაპზე,** ეკონომიკური ოპერატორის მიერ წარმოდგენილ **ქვეკონტრაქტორთა სრულ ჯაჭვს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გააანალიზოს, **ძირითადი ეკონომიკური ოპერატორისა და პირველი დონის ქვეკონტრაქტორის მიღმა, სრულდება თუ არა მის მიერ დაწესებული მდგრადობის მოთხოვნები.** ამ მიმართულებით, საჭიროა, რომ ეკონომიკურმა ოპერატორებმა უზრუნველყონ შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა იმის დასადასტურებლად, რომ უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე, შრომითი გარანტიების პატივისცემა მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში.

საჯარო შესყიდვის მონაწილეთა უფლება-მოვალეობები

მდგრადი საჯარო შესყიდვების განსახორციელებლად:

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად, მოსთხოვოს ეკონომიკურ ოპერატორს სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითსამართლებრივი ნორმების დაცვა.

ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითსამართლებრივი ნორმები.

ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

EU4Environment

Green Economy in Eastern Partner Countries

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის, აიღო მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება და ხაზი გაუსვა ვაჭრობასთან დაკავშირებული შრომითი და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობას. აღნიშნული ვალდებულება, მათ შორის, მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობას, მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად.

ხსენებული ვალდებულების შესასრულებლად, 2020 წლის აგვისტოს თვიდან, საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იმპლემენტაციისათვის არაერთი აქტივობა განხორციელდა. წინამდებარე ბროშურა მიზნად ისახავს მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ეკონომიკური ოპერატორების ცნობიერების ამაღლებას, ქვეყანაში მდგრადი საჯარო შესყიდვების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად. მდგრადი საჯარო შესყიდვების იმპლემენტაციის შედეგად, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საჯარო სახსრების მდგრადი, რაციონალური და პასუხისმგებლიანი ხარჯვა, მაგალითის მიმცემი გახდება ეკონომიკური ოპერატორებისათვის მდგრადი პოლიტიკის გამოყენების, აგრეთვე, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მისაღწევად და მისცემს მათ ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენების მოტივაციას.

აღნიშნული აქტივობები განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული. EU4Environment პროგრამის ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აქტიური თანამშრომლობით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

eiec.gov.ge

eu4environment.org

info@eiec.gov.ge

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

+995 32 2 11 20 23

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ.6

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი